პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №

____ თებერვალი, 2020 წელი ქალაქი ბათუმი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის უფლების საფასურის განსაზღვრის შესახებ

„საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „მ" ქვეპუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის და „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირების წესების დადგენის შესახებ" თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2011 წლის 10 თებერვლის №8 დადგენილების მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს:**

მუხლი 1.

დადგინდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის უფლების საფასური, თანახმად დანართი 1-სა.

მუხლი 2.

დადგინდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის სავაჭრო - სამოქმედო ზონირების ტექსტური ნაწილი, თანახმად დანართი 2-სა.

მუხლი 3.

დადგინდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის სავაჭრო - სამოქმედო ზონირების გრაფიკული ნაწილი (რუკა), თანახმად დანართი 3-სა.

მუხლი 4.

გარე ვაჭრობის უფლების საფასურის გადახდის ვალდებულება წარმოიქმნება ყოველი თვის დასაწყისში, საქმიანობის დაწყებისთანავე. გარე ვაჭრობის ადგილებით სარგებლობისათვის გადახდილი საფასურის ვადის ამოწურვამდე გარე ვაჭრობის უფლების საფასურის წინასწარ გადახდის შემთხვევაში გადახდის დღედ მიიჩნევა ანგარიშსწორების განხორციელების დღე, ხოლო მისი აქტივაცია (ვადის ათვლა) მოხდება წინა პერიოდის გარე ვაჭრობის უფლების საფასურის ვადის ამოწურვის შემდეგ.

მუხლი 5.

გარე ვაჭრობის საფასურის გადახდა განხორციელდეს უნაღდო ანგარიშსწორებით და მიიმართოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში. საფასურის ამოღებას ახორციელებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 6.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის სავაჭრო - სამოქმედო ზონირების ტექსტურ ნაწილსა და გრაფიკულ ნაწილს შორის წინააღმდეგობისას უპირატესობა ენიჭება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის სავაჭრო - სამოქმედო ზონირების გრაფიკულ ნაწილს.

მუხლი 7.

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის უფლების საფასურის განსაზღვრის შესახებ" თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 28 ივნისის №37 დადგენილება (გამოქვეყნების წყარო: საქართველოს საკა-

ნონმდებლო მაცნე, www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი: 04/07/2012, სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.132.016127).

მუხლი 8.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **სულიკო თებიძე**

დანართი 1

დ ა მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ი ა
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს დადგენილება
2020 წლის ... თებერვალი, №....

№	სავაჭრო-სარეალიზაციო არასასურსათო და სასურსათო საქონლის სახეობა, ჩამონათვალი	I ზონა	II ზონა	III ზონა	შენიშვნა
		დაკავებული ტერიტორიის 1 კვ.მ. საფასური (ლარი) თვიურად	დაკავებული ტერიტორიის 1 კვ.მ. საფასური (ლარი) თვიურად	დაკავებული ტერიტორიის 1 კვ.მ. საფასური (ლარი) თვიურად	
1	ჟურნალ-გაზეთები, წიგნები, ნახატები, ყვავილები, ხელნაკეთი ნივთები და სხვა	15	10	5	
2	ხილ-ბოსტნეული, ბაღჩეული, განთავსებული დახლის ვერტიკალურ კონსტრუქციაზე	40	30	20	
3	გაზიანი გამაგრილებელი სასმელები, წყლების, ყავის, ნაყინის, ლუდის ჩამოსასხმელი აპარატები და სხვა სავაჭრო ობიექტის წინ.	40	30	20	
4	კვების პროდუქტებით ვაჭრობა ან მომსახურება სპეც.დანიშნულების საფირმო მოძრავი ან/და ადგილზე განსათავსებელი სხვა საშუალებები	40	30	20	
5	რესტორნების, კაფე-ბარების, და სხვა საზკვების ობიექტების წინ სავაჭრო-სარეალიზაციო დანიშნულების ნივთების: მაგიდა სკამები, საჩრდილობელი და სხვა სავაჭრო ინვენტარი.	40	30	20	
6	I კლასის შენობა ნაგებობები, სავაჭრო ჯიხურები	40	30	20	
7	გაზიანი გამაგრილებელი სასმელები, წყლები, ყავა, ნაყინის ჩამოსასხმელი აპარატები, ლუდის კასრი, ბურახის კასრი და სხვა.	40	30	15	
8	არასასურსათო საქონელი, სამეურნეო, საყოფაცხოვრებო, საოჯახო და სამრეწველო ნაკეთობები ან ამ ტიპის მომსახურების საშუალებები		20	10	
9	ყველა სახის სწრაფი გადახდის აპარატები, თვითმომსახურების ავტომატები, ატრაქციონები, ბატუტი, აზარტული და მომგებიანი თამაშებისათვის განკუთვნილი გასათამაშებელი ნივთი, სათამაშო და გასართობი აპარატები და სხვა	40	30	20	
10	ბავშვთა სასეირნო ავტომობილები, ველოსიპედები, სასეირნო ეტლები, ფაიტონები და სხვა გადაადგილების საშუალებები	40	30	20	
11	ხილ-ბოსტნეულის, ბაღჩეულისა და სხვა პროდუქტებით,ასევე ცხოველური პროდუქტებითვაჭრობა ავტო-სატრანსპორტო საშუალებებიდან	-	15	15	
12	სუვენირებით, სამახსოვრო ნივთებით და ხელთნაკეთი ნივთებით ვაჭრობა	40	30	20	
13	ყვავილებით და სხვა დეკორაციული მცენარეებით გარე ვაჭრობა	20	15	10	

დ ა მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ი ა
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს დადგენილება
2020 წლის ... თებერვალი, №....

ზონა	სავაჭრო სამოქმედო ზონების აღწერა
ბულვარის მიმდებარე ტერიტორია	
I ზონა	ბაქოსა და შავშეთის ქუჩის კვეთიდან, ბაქოს ქუჩა, გოგებაშვილის ქუჩა, რუსთაველის ქუჩა, ნურეთინ ჩარმიკლის ქუჩა, შ. ხიმშიაშვილის ქუჩის კვეთამდე, შ. ხიმშიაშვილის ქუჩა, აღნიშნულ ქუჩებსა და ბულვარის ტერიტორიას შორის არსებული ტერიტორია
ქალაქის ცენტრალური ნაწილი	
II ზონა	ბაქოსა და შავშეთის ქუჩის კვეთიდან, შავშეთის ქუჩა, პუშკინის ქუჩებამდე, პუშკინის ქუჩა, ლორიას ქუჩის კვეთამდე, ლორიას ქუჩა, ლორიასა და ტ. აბუსერიძის ქუჩის კვეთიდან ტ. აბუსერიძის ქუჩა, აღმაშენებლის ქუჩა (წრიულამდე), წრიულიდან კობალაძის ქუჩა, ინასარიძის I ჩიხის კვეთამდე, ინასარიძის ქუჩის I ჩიხი, ინასარაძის ქუჩა, შ. ინასარაძის ქუჩის I ჩიხის კვეთიდან შ. ხიმშიაშვილის ქუჩამდე (ლეხ და მარია კაჩინსკების ქუჩის დასაწყისში არსებულ წრიულამდე)
ქალაქის პერიფერიული ნაწილი	
III ზონა	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მთლიანი ტერიტორია გარდა I და II ზონებისა

განმარტებითი ბარათი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის უფლების საფასურის განსაზღვრის შესახებ დადგენილების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის სავაჭრო-სამოქმედო ზონებად დაყოფის პარალელურად (I სავაჭრო-სამოქმედო ზონა-ბულვარის მიმდებარე ტერიტორია; II სავაჭრო სამოქმედო ზონა-ქალაქის ცენტრალური ნაწილი; III სავაჭრო სამოქმედო ზონა-ქალაქის პერიფერიული ნაწილი) ზემოხსენებული ზონების მიხედვით განისაზღვრა გარევაჭრობის საფასურიც (1 კვ.მ გადასახდელი თანხა) ცხადია ზონების მიხედვით შემოღებული სახდელები (ტარიფები) დიფერენციული იქნება, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს გარევაჭრობის მოწყობისა და ორგანიზების კულტურას, მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებასა და ქლაქის იერსახის დაცვას, საზოგადოებრივი სივრცეების რაციონალურად გამოყენებასა და გამტარუნარიანობის ამაღლებას. სავაჭრო-ობიექტების მეპატრონეები მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდებიან შენობის გარეთ ვაჭრობის ორგანიზებას და არ დაუშვებენ ფეხით სავალი გზების (ტროტუარების) შეზღუდვების შესაძლებლობას.

ა.ა) პროექტის მიზეზი და მიზანი

პროექტის მიზანია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სავაჭრო-სამოქმედო ზონების მიხედვით ახალი გადასახდელების (ტარიფების) შემოღება, რომელიც ხელს შეუწყობს საზოგადოებრივი სივცრეების (ტროტუარი და სხვა) გამოყენებას ქალაქის იერსახის გაუმჯობესებას და საფეხმავლო გზების გამოთავისუფლებას ყოველგვარი უსახური სავაჭრო-სარეალიზაციო ნივთებისაგან.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორაიზე გარევაჭრობის მოწესრიგება და ახალი სატარიფო რეგულაციების შემოღება.

ბ) პროექტის ფინანსური მხარე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ბიუჯეტში დამატებითი ფულადი სახსრების მობილიზება

გ) პროექტის შესაბამისობა იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტთან

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია

ე) პროექტის ავტორი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია

ვ) პროექტის ინიციატორი

ქალაქ ბათუმის მუნციიპალიტეტის მერია

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის

მუნიციპალური ქონების და სერვისების

მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე